* * *

ოჰ, სად არიან, სიჭაბუკევ, სიტკბონი შენნი?
სად არს აღმტაცის სიყვარულის ტანჯვა, სამოთხე?
განძარცვილვარ გრძნობით, უდროოდა მეკვეთნენ ფრთენი,
გაზაფხულია, მე კი ვდგევარ ვით უფოთლო ხე.

აღმესპნენ იგი საოცარნი ყრმობის სიზმარნი,
გულმა დაჰკარგა იმ სიზმრების სარწმუნოება...
თვალ-წინ მიყრია უკეთესნი ყვავილნი მჭკნარნი,
მომიკვდა ეჭვ-ქვეშ მაცხოვარი თვით სასოება.

ჭკვამ მოჰკვეთა ფრთა ჩემ ჭაბუკდღის ლაღსა გრძნობასა,
ცივად დაარქვა¨ ფუჭი ალი¨ ღვთიურ ტრფობასა,
მან დამინგრია წმინდა გრძნობის წმინდა ტაძარი...
ვია, მას, ვინცა ჭაბუკობას ჭაბუკ არ არის!..

30 ნოემბერი, 1859წ.